ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

## პროკურატურა: „მიხეილ რამიშვილის ტელეფონში ნაპოვნია მნიშვნელოვანი ინფორმაცია“

ადვოკატი: „პროკურატურა ჩემ პირად სივრცეში შემოიჭრა“



გვ.5

ოთხშაბათი, 23 სექტემბერი, 2020 №200 (8464) ფასი: 60 თეთრი

# „ბოკერია ჩვენზე რას იტყვის, საერთოდ არ გვაინტერესებს“



გვ.2

ლევან ხაბეიშვილი: „დანარჩენ ოპოზიციაზე მინიმუმ სამჯერ მეტი რეიტინგი აქვს ნაციონალურ მოძრაობას“



მურმან დუმბაძე: „მთელი ცხოვრება ოპოზიციაში ვარ და არასდროს არ მიფიქრია ოპოზიციის კრიტიკაზე“



გვ.3

## „პარტიები უფრო მეტს სააკაშვილზე ფიქრობენ, ვიდრე ივანიშვილის დამარცხებაზე“

## №63 „ერთი ყველას წინააღმდეგ“



გვ.3

დიმიტრი ლორთქიფანიძე დიდუბე-ჩუღურეთის მაჟორიტარად



გვ.3

## „მამუკა ხაზარაძე მევახშეა, მოსახლეობის გაუბედურებას უწყობს ხელს“



გვ.2

## თენგიზ ცერცვაძე: „სწავლა შეიძლება კიდევ 2 კვირით გადაიდოს“

## ანზორ აბრალავა: „სააკაშვილი ბოკერიასთან და მისნაირებთან მართალია“



გვ.4

## შს მინისტრმა საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით ბრძანება გამოსცა



გვ.5

ISSN 1987-9385

**2** „კახა ბენაძე დღესაც რიჟას ხელის ბიჭია, ესაა თქვენი გენერალი?!“

**4** ლუდმილა ანუა ქუთაისში გარდაცვლილი მე-20 პაციენტია

ის სოხუმის პირველი სკოლის მასწავლებელი იყო

**5** „მეზობელ ბიჭს აუპატიურებდა და მოკვლით ემუქრებოდა“

67 წლის ი.გ. დააკავეს

**6** ამერიკელი ჯარისკაცები ლიეტუვაში ივნისამდე დარჩებიან

# ლევან ხაბეიშვილი: „ბოკერია ჩვენზე რას იტყვის, საერთოდ არ გვაინტერესებს“

## „დანარჩენ ოპოზიციაზე მინიმუმ სამჯერ მეტი რეიტინგი აქვს ნაციონალურ მოძრაობას“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ ლევან ხაბეიშვილი პასუხობს.**



***– ლევან, ექსპერტთა ნაწილი ფიქრობს, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ, როგორც 2012 წელს ბიძინა ივანიშვილმა, შუა გაკრიფა და არჩევანს ასე აყენებს, ან ჩვენ, ან ბიძინა. რამდენად არის ასე და რით უპასუხებთ თქვენს კრიტიკოსებს?***

– პირველ რიგში, „ოცნების“ ალტერნატივა ნაციონალური მოძრაობაა და მასში შემავალი ოპოზიციური პარტიები. ეს მათაც კარგად იციან და ამიტომ ჭმუნავენ და დარდობენ. წინასაარჩევნოდ, მათ შორის თქვენ მკითხველს, არ მინდა თავგზა ავუბნიო და ვისაუბრო ოპოზიციაზე. კი ბატონო, ვინც ხმას არ მისცემს „ოცნებას“ და ნაცმოძრაობას, ხმა მისცეს დანარჩენ ოპოზიციას.

***– „ევროპული საქართველო“ აცხადებს, ვერავინ გვაიძულებს, ოპოზიციის გამარჯვების შემთხვევაში მიხეილ სააკაშვილის კანდიდატურას მივცეთ ხმაო.***

– კი ბატონო-თქო. ამას აცხადებენ 6%-იანი პარტიის წარმომადგენლები და ამას ამბობენ ისეთ პარტიაზე, რომელმაც მინიმუმ ოთხჯერ აჯობა არჩევნებში. ჩვენ ხომ არ ვამბობთ, რამე რომ იყოს, მათ კანდიდატს მხარს არ დავუჭერთ. მათ აწუხებთ ეს საკითხი, იმიტომ, რომ ფიქრობენ, რამდენიმე მანდატისთვის მოუწევთ ბრძოლა.

აქ ძალიან მარტივად დგას საკითხი: ჩვენ გვინდა ხელისუფლების ცვლილება, ჩვენ გვინდა ბიძინა ივანიშვილის შეცვლა, ჩვენ გვინდა კორუფციის დამარცხება და საქმის კეთება. სხვა პარტიებს, მათ შორის კვლევებიდან გამომდინარე, საბრძოლი აქვთ რამდენიმე მანდატი. ამაში არის ძალიან დიდი განსხვავება.

მე მინდა თქვენმა მკითხველმა კარგად გააზროს, არჩევნებზე წასვლის დღეს რას აძლევენ ხმას – ორი-სამი მანდატით მეტი რომ აიღონ, ისეთ ოპოზიციას, თუ რეალურ ძალას, რომელიც აუცილებლად გაიმარჯვებს.

***– აუცილებლადო აცხადებთ, თუმცა პოლიტიკაში ასე დარწმუნებით ვერაფერს იტყვი, ყველაფერი ხდება. ეს შუას გაკრეფა კი რამდენად სწორია?***

– მე მართლა მგონია, რომ გავიმარჯვებთ. დინამიკა აჩვენებს ამას, წინა არჩევნებმაც აჩვენა ეს და მათ შორის ის, რომ „ქართულ ოცნებას“ მხარდაჭერა აღარ აქვს, ამას აჩვენებს მათ შორის ყველა კვლევა. პირობითად ვამბობ, თუ საბოლოო ჯამში აღმოჩნდა ისე, რომ 30% აიღო „ქართულმა ოცნებამ“ და დანარჩენი 70% ოპოზიციამ, მერე იმ ოპოზიციაში რომ ყველაზე მაღალი ხმები ნაცმოძრაობას ექნება და მის გაერთიანებას, ეს არის ცხადი.

***– ნაციონალურ მოძრაობას 15% აქვს ამ კვლევებით.***

– მე ვივარაუდე, რომ შესაძლოა 30% აიღოს „ოცნებამ“. სალომე ზურაბიშვილმა პირველ ტურში აიღო 37% და მას შემდეგ კიდევ უფრო დაკარგულია მათი რეიტინგი. კარგით, თუნდაც 35% აიღო „ოცნებამ“, დანარჩენ 65%-ს ხომ ოპოზიცია იღებს? ამიტომ აქედან უდიდესი წილი სწორედ ნაციონალური მოძრაობის იქნება. კვლევებიც ხომ აჩვენებს, რომ დანარჩენ ოპოზიციაზე მინიმუმ სამჯერ დიდია ნაციონალური მოძრაობა. ამიტომ, მოდით, ვაცადოთ ქართველ ხალხს.

ამას ვერც გიგა ბოკერია ვერ გადაწყვეტს, ვინ იქნება პრემიერ-მინისტრი, ვერც რომელიმე სხვა პოლიტიკური პარტიის ლიდერი. ამას გადაწყვეტს მისი აღმატებულება ქართველი ხალხი. ამიტომ ნუ ილღებიან ამ უაზრო განცხადებებით და სხვის ბოსტანში ქვების სროლით.

***– ბოკერია და მისი პარტია აცხადებენ, რომ ორი პოლიტიკური ვალდებულება აიღეს – არ ითანამშრომლონ „ოცნებასთან“ და არც მიხეილ სააკაშვილის პრემიერობას დაუჭირონ მხარი.***

– პასუხი მარტივი და ლოგიკურია, ანუ თვითონ რასაც ამბობენ, რა გამოდის? გამოდის ის, რომ ისევ ოპოზიციაში იქნებიან. ეს ორჯერ ორია! საკუთარ ამომრჩეველს ეუბნებიან შემდეგს, რომ ჩვენ უნდა მოგვცეთ ხმა იმიტომ, რომ ვიყოთ ოპოზიციაში! არჩევნებს რომ ეგენი ვერ მოიგებენ, ჩემზე კარგად თავად იციან.

ჩვენ კი არ ვაპირებთ, ოპოზიციაში ვიყოთ და ამ ქურდებს და ყაჩაღებს ეს ქვეყანა დავუთმოთ. ბოკერიას, როგორც ჩანს, წინასწარ დათმობილი აქვს და უნდათ, რომ ოპოზიციაში იყვნენ და კი ბატონო, იყვნენ, მე არ ვუშლი.

***– გაბრალებენ, რომ ხიდებს და მისასვლელ გზებს ამტვრევთ.***

– უკვე მეცინება და არც მინდა ამ თემაზე ამდენი საუბარი. არავის არ ვეკინკლავები და საერთოდ არ მაინტერესებს, რა უნდათ. უბრალოდ, რადგან მეკითხებით, გპასუხობთ, ნამდვილად არ მინდა პოლემიკაში შევიდე და საერთოდ „ევროპული საქართველო“ რატომ გახდა ასეთი მნიშვნელოვანი?!

***– ივანიშვილს ხომ არ გაურიგდა ბოკერიას გუნდი?***

– არ მაინტერესებს, ვის რას გაურიგდნენ. არჩევნებია წინ და ბიძინა ივანიშვილი გვყავს დასამარცხებელი. რაც უნდათ ის ილაპარაკონ. მიხეილ სააკაშვილი იყო პირველი, რომელმაც თქვა, რომ საჭირო იყო საერთო სია და საერთო კანდიდატები.

***– თუმცა ეს არ მოხერხდა, არ წამოვიდნენ ამაზე.***

– ხიდი სწორედ ამ ხალხმა დაანგრია. ჩვენ რას გვედავებიან?! მუდმივ კინკლაობაში შესვლა არის ოპოზიციური პარტიების ამოცანა. თუ ვინმეს სადმე უნახავს, ჩვენი პოლიტიკური გაერთიანებიდან რომელიმე ლიდერი დაპირისპირებაზე საუბრობდეს ან ვინმეს ერჩოდეს, მაშინ ბოდიშს მოვიხდი. ჩვენ მხოლოდ გამოსავლებზე ვსაუბრობთ და გზებს ვეძებთ.

***– ამბობენ, სააკაშვილი აქ ჩამომსვლელი არ არის და ამ თავისი აქტიურობით ისევ ბიძინას უმყარებს პოზიციებსო.***

– მაგათთვის რომ გეკითხათ, უკრაინაში ჩამსვლელიც არ იყო მიხეილ სააკაშვილი და არც მოქალაქეობას არ დაუბრუნებდნენ, ბევრი მათგანი ამასაც წერდა, არ მინდა ახლა სახელების და გვარების დასახელება. მიხეილ სააკაშვილი უკრაინაშიც ჩავიდა, მოქალაქეობაც დაიბრუნა და თანამდებობაც მიიღო. გუშინ პრეზიდენტ ზელენსკისაც ხვდებოდა. ვიღაცა ჭიჭიკო აქ რაღაცას იტყვის, ჩვენ ამაზე კომენტარებს ვერ გავაკეთებთ. ძალიან ნაკლებად საინტერესოა, თუ რას ფიქრობს და რას ამბობს ბოკერია ჩვენზე.

***– გაერთიანებაზე იყო საუბარი და ერთმანეთს ჭამთ, ეს ძალიან ცუდი საყურებელია.***

– რატომ ამბობთ, რომ ერთმანეთს ვჭამთ? კითხვას მისვამთ და მაიძულებთ, ვისაუბრო ბოკერიაზე, თორემ ჩემი სურვილით რამეს გეუბნებით? რატომ გამოგყავთ მედიას ისე, რომ ერთმანეთს ვჭამთ, არ ვჭამ ბატონო, საერთოდ არ მაინტერესებს! ერთმანეთს არა, აქეთ გვჭამენ და მათ ვკითხოთ, რატომ გვჭამენ?!

***– რა უნდა „ევროპულ საქართველოს?“ უნდა, რომ იყოს მთავარი ოპოზიციური ძალა?***

– კი, სავარაუდოდ, ასეა, ოპოზიციაში უნდათ ყოფნა. ჩვენ გვაქვს ჩვენი ხედვა, დღის წესრიგი და სულ არ გვაინტერესებს, რას ამბობს ჩვენზე ბოკერია! ყველას თავის გზაზე გაუმარჯოს.

***– ლევან, საკმაოდ მძიმე ფონია ქვეყანაში როგორც ეპიდემიოლოგიური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით. რაიმე ახალ შეზღუდვებს ხომ არ ელოდებით?***

– არანაირ შეზღუდვებს არ ველოდები, არჩევნები ჩატარდება და ამ არჩევნებზე „ქართული ოცნება“ დამთავრდება. რაც არ უნდა პანდემია აწიონ, დაწიონ, ეს არჩევნები მაინც ჩატარდება თავის დროზე, ამ არჩევანს გააკეთებს ქართველი ხალხი. დარჩენილია ძალიან ცოტა დრო და წამმზომი ჩართულია.

***– ბევრი ფიქრობს, რომ მაჟორიტარების დახმარებით „ქართული ოცნება“ 50%-ს გადასცდება...***

– ჯვარი ეწეროს, ვინც ფიქრობს, რომ ორში ერთი მისცემს „ქართულ ოცნებას“ ხმას, წარმოდგენა არა აქვთ ხალხის განწყობაზე. რა სიგიჟეა, რა მაჟორიტარების დახმარებით! „ქართულ ოცნებას“ წარმოუდგენელი მიუღებლობა აქვს ხალხში და ის ამ არჩევნებში დამარცხებულია!

---

## თამარ გაბუნია: „აჭარაში კოვიდპაციენტების ნაწილი ბინაში მკურნალობს“

ჯანდაცვის მინისტრის პირველი მოადგილის თამარ გაბუნიას განცხადებით, დღეს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ჯანდაცვის სისტემის მზაობას, რათა შემთხვევების ახლანდელი და მოსალოდნელი მატებისთვის სისტემა სათანადოდ მოემზადოს.

გაბუნიას თქმით, დღეისთვის 31 კლინიკაში 2.522 საწოლია მობილიზებული. მისივე განმარტებით, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ხარისხის მართვასაც.

– განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ხარისხის მართვის პროცესებზე. დღეისთვის უკვე მობილიზებულია 2.522 საწოლი 31 კლინიკაში. ახალ კლინიკებს აქვთ იმის საშუალება, რომ მიიღონ კონსულტაციები კოვიდის მართვაში მეტად გამოცდილი ექსპერტებისგან, ამისთვის ჯანდაცვის სამინისტრომ გამოიყენა კლინიკური კონსულტანტების მექანიზმი, რათა ყველა კლინიკას ჰქონდეს საშუალება და მოიწვიოს მეტად გამოცდილი ექსპერტი ხარისხის უზრუნველყოფის ნაწილში.

კარგად მიმდინარეობს პროცესების მართვა კოვიდსასტუმროებში. როგორც იცით, იქ ხდება იმ პაციენტების გადაყვანა, რომელთაც აქვთ დაავადების კეთილსაიმედო მიმდინარეობა, მსუბუქი შემთხვევები, რომელთა შემთხვევაშიც რაიმე გართულება მოსალოდნელი არ არის, მათი ასაკი არის 16-დან 65 წლამდე შუალედში და ისინი არ საჭიროებენ განსაკუთრებულ სამედიცინო ჩარევას, ამდენად მათი მკურნალობა მიდის სამედიცინო მეთვალყურეობის ქვეშ, – განაცხადა თამარ გაბუნიამ.



ჯანდაცვის მინისტრის მოადგილის განმარტებით, დღეს აჭარაში ბინაში მკურნალობის მეთოდიც გამოიყენება და პაციენტებს ზედამხედველობას ოჯახის ექიმები უწევენ.

– აჭარაში უკვე მოხდა ისე, რომ პაციენტების ნაწილი არის ბინაში და ბინაში უწევს მათ მეთვალყურეობას ოჯახის ექიმი. ეს მოდელი აპრობირებულია ბევრ ქვეყანაში და ჩვენც ეტაპობრივად ვამუშავებთ იმ დეტალებს, რაც საშუალებას მოგვცემს, ბინაში მართვის მოდელი უსაფრთხოდ განხორციელდეს ჩვენს ქვეყანაშიც. რა თქმა უნდა, ისე, რომ იყოს შესაბამისი საყოფაცხოვრებო პირობები, თვითიზოლაციის შესაძლებლობა და არ დადგეს ოჯახის წევრებს შორის ინფექციის გავრცელების რისკი.

კლინიკური სურათი და მდგომარეობის სიმძიმე, ხშირ შემთხვევაში, იძლევა იმის საშუალებას, რომ პაციენტი დარჩეს ბინაში.

ამ დროისთვის სულ კლინიკებში იმყოფება 1.500-მდე პაციენტი, მათ შორის, 1.300-ზე ცოტა მეტი არის კოვიდინფიცირებული და სასტუმროებში არის 563 ადამიანი, რომელიც კოვიდის გამო რჩება იქ, – განაცხადა თამარ გაბუნიამ.

---

## თენგიზ ცერცვაძე: „სწავლა შეიძლება კიდევ 2 კვირით გადაიდოს“



ინფექციური პათოლოგიისა და შიდსის ცენტრის გენერალური დირექტორის, თენგიზ ცერცვაძის ინფორმაციით, თუ მომდევნო დღეებში ინფიცირებულთა რაოდენობა 200-ის ფარგლებში იქნება, სკოლებსა და ბაღებში სწავლა პირველ ოქტომბერს განახლდება.

როგორც ცერცვაძემ „პალიტრანიუსის“ გადაცემაში „დღის ნიუსრუმი“ აღნიშნა, თუ დღეს არსებული მდგომარეობა ვერ შევინარჩუნეთ, შესაბამისი ორგანოები სასწავლო პროცესის კიდევ ორი კვირით გადადებას განიხილავენ, თუმცა ამჟამად, ამ ვერსიაზე საუბარი საკოორდინაციო საბჭოს სხდომებზე არ მიმდინარეობს.

– თუ მოხერხდა მდგომარეობის დასტაბილურება ისე, რომ ინფიცირებულთა რიცხვი 200-ის ფარგლებში დავიჭირეთ, სკოლებსა და ბაღებში ის შეზღუდვა, რომ სწავლა პირველ ოქტომბერს გადავიტანოთ, საკმარისი იქნება. თუ ამ მდგომარეობაში ვერ დავიჭირეთ, როგორც ახლაა, ალბათ შესაბამისი სტრუქტურები და განათლების სამინისტრო განიხილავენ, კიდევ ორი კვირით სწავლის გადადებას. თუმცა, მე სუბიექტურად მგონია, რომ ეს საჭირო არ გახდება, ამ ვერსიაზე საუბარი საკოორდინაციო საბჭოს სხდომებზე არ მიმდინარეობს, – აღნიშნა თენგიზ ცერცვაძემ.

---

## „კახა გეწაძე დღესაც რიჟას ხელის ბიჭია, ესაა თქვენი გენერალი?!“

### გიგი უგულავა ნაციონალების წინააღმდეგ



– ეს პერსონა არის პოლიტიკაში „მოჩალიჩე“ ტიპაჟი, მარტო ფული და გამორჩენა რომ ადარდებს. ესაა ამომრჩევლის აბუჩად აგდება.

ამის შესახებ „ევროპული საქართველოს“ მაჟორიტარობის კანდიდატი ზუგდიდის ოლქში გიგი უგულავა, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – ძალა ერთობაშიას“ ზესტაფონი-ბაღდათი-თერჯოლა-ტყიბულის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, კახა გეწაძის შესახებ სოციალურ ქსელში წერს.

უგულავა ნაციონალურ მოძრაობას გეწაძის კანდიდატად წარდგენის გადაწყვეტილებას უწუნებს და ყოფილ თანაგუნდელებს შეკითხვით მიმართავს, „ამისთვის ჩაშალეთ ერთიან მაჟორიტარებზე მოლაპარაკებები?“

„ესაა თქვენი „ადგილობრივი გენერალი“? ამისთვის ჩაშალეთ ერთიან მაჟორიტარებზე მოლაპარაკებები, ამას ვერ უთხარით უარი? კახა გეწაძე პოლიტიკოსი? თქვენ რა, ქვეყანა ჩალით გგონიათ დახურული?! ეს კაცი დღემდე რიჟას პარტნიორია, უფრო ზუსტად, ხელის ბიჭი (არ მოგესმათ! იმ რიჟასი, შეთითხნილი სპეცოპერაციით ივანიშვილს ჩემი თავი რომ დააჭერინა თქვენი პარტიის დაფინანსების ბრალდებით). იყო ყველაზე სამარცხვინო გამგებელი ზესტაფონში და ოლქის სხვა რაიონებს მისი არსებობა ან არ გაუგიათ, ან ამბობენ – კიდევ კარგი, ეს არ იყო ჩვენი გამგებელიო! ეს პერსონა არის პოლიტიკაში „მოჩალიჩე“ ტიპაჟი, მარტო ფული და გამორჩენა რომ ადარდებს. აბა კარგად მოიკითხეთ, 2013 წლის მერე, სადმე რამე ბრძოლაში თუ გაუელვია. ასეთი ხალხის პოლიტიკიდან ჩამოშორება უნდა იყოს ამოცანა, არათუ მაჟორიტარად დაყენება. აი, ესაა ზუსტად „ქოცობა“, როცა გგონია, რომ ჯოხს ჩაარჭობ და ამომრჩეველი მაინც პარტიის ნომერს შემოხაზავს. ესაა სწორედ ამომრჩევლის აბუჩად აგდება, როცა ენმ გიგი წერეთელს რიჟას ანუ ბიძინას კაცის კაცს უყენებს კონკურენტად და ამას ამომრჩევლის მოთხოვნად ასაღებს. კახა გეწაძესთან შედარებით ზაზა გოროზიაც კი ბარუხ სპინოზაა.

სირცხვილია.

ნამდვილად გარდამტეხი ცვლილებების დროა ამ ქვეყანაში“ – წერს უგულავა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „მამუკა ხაზარაძე მევახშეა, მოსახლეობის გაუბედურებას უწყობს ხელს“

## დავით ჭიჭინაძე: „ხაზარაძის ტვინში ყველაზე მინიმალური 25%-იანი სესხია, ამიტომ ამბობს, რომ არჩევნებზე 25%-ს აიღებს“

იაგო ნაცვლიშვილი

**„ლელოს“ ლიდერი მამუკა ხაზარაძე გამოდის იდეით, რომლის მიხედვითაც მევახშეობა საქართველოში დასჯადი უნდა გახდეს. მისი თქმით, მას მევახშეს უწოდებენ, რაც სწორი არ არის. ამბობს, რომ სიტყვა მევახშე ქართული განმარტებითი ლექსიკონით ნიშნავს კერძო პირს, რომელიც მეორე პირს ასესხებს თანხას და ამით ნახულობს სარგებელს. ამასთან ხაზარაძე დარწმუნებულია, რომ მისი პარტია არჩევნებში 25%-ზე მეტს მიიღებს, იმის მიუხედავად, რომ კვლევებით „ლელოს“ რეიტინგი 3-4%-ის ფარგლებშია.**

რას ნიშნავს თანამედროვე გაგებით მევახშე, შედის თუ არა ამ კატეგორიაში ხაზარაძეც და რა მთავარ პრობლემებს ხედავს საბანკო სექტორში? – ამ საკითხების შესახებ „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტიკური პარტია „ტრიბუნას“ ლიდერი, პარლამენტარი **დავით ჭიჭინაძე** საუბრობს:



***– მევახშეობის შესახებ არაერთხელ გაგიკეთებიათ განცხადება და როგორ გაიგეთ მამუკა ხაზარაძის ნათქვამი, რომ მევახშეობა დასჯადი უნდა გახდეს? ეს ტერმინი პირდაპირი გაგებით უნდა გავიგოთ, როგორც ამას თავად ხსნის ხაზარაძე თუ თანამედროვე გაგებით, რასაც ბანკები აკეთებენ, ისიც მევახშეობის სახედ უნდა განვიხილოთ?***

– პირდაპირ გეტყვით, მევახშეობა არ არის ის, რასაც ხაზარაძე განმარტავს ლექსიკონით. მევახშეობა არის ის საქმიანობა, რომელიც ადამიანს ცხოვრებას უხდის გაუსაძლისს. ჩვენი ბანკები არაფრით არ განსხვავდებიან იმ კერძო პირებისგან, რომლებიც მევახშეობას აწარმოებენ. თუნდაც ერთი მაგალითი შეგვიძლია გავიხსენოთ, როგორც ხაზარაძე ამბობს, მისი ცხოვრებიდან „ელიტ ელექტრონიქსთან“ დაკავშირებით, თუნდაც მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კონსტანტასთან“ დაკავშირებით, როდესაც მან ის მიითვისა და არ მგონია, რომ ეს რამით განსხვავდებოდეს მევახშეობის საქმიანობისგან და თუ ადამიანი ამბობს, რომ რაღაც დასჯადი უნდა გახდეს და ერთმანეთს ყველაფერი ვაპატიოთ, მაშინ ამ ადამიანმა ყველას ყველაფერი დაუბრუნოს. დარჩეს ისევ 500 დოლარად, თავისი ისტორია ჩამოერთვას.

მძლავრი სექტორიაო რომ ამბობს, ასე არ არის. ეს არის ერთადერთი სექტორი საქართველოში, რომელიც კანონებს არ იცავს, კანონებს ზემოთაა, არანორმალური ლობისტები ჰყავს და მთავარი მეგა რეგულატორი ეროვნული ბანკი, რომელიც ამ ქვეყანაში უნდა იცავდეს კანონს და არეგულირებდეს მათ, შეგნებულად უტოვებს ხვრელებს, სადაც მათ შეგნებულად აუარონ კანონებს და ის საქმიანობა აწარმოონ, რომელიც ადამიანებს აუბედურებს და ალატაკებს. ამის ნათელი დადასტურებაა მიკროსაფინანსოები. ის საქმიანობა, რასაც ეწევიან მევახშეები და მიკროსაფინანსოები, პირდაპირ ვამბობ, რომ მათი ფულებით კეთდება.

ადამიანებს დეპოზიტები ბანკებში შეაქვთ მიზერულ პროცენტებში, შემდეგ ეს გადადის მიკროსაფინანსოებში და იქ სხვა ადამიანებს ცეცხლის ფასად ურიგდებათ ის თანხები და ეს აკარგვინებს ცხოვრებას და ყველაფერს. თუ ვინმეს უნდა, რომ მევახშე არ უწოდოთ, მისი საქმიანობა უნდა ჩამოშორდეს ამ საქმიანობას, თორემ ლექსიკონით განმარტება სწორი არ არის. ხალხს ასოციაცია მევახშეობასთან იმიტომ უჩნდება, რომ არანაირი საქმიანობა არ არის მათ და მევახშეების საქმიანობას შორის.

***– ანუ, თქვენ ამბობთ, რომ მამუკა ხაზარაძე თანამედროვე გაგებით მევახშეა?***

– რა თქმა უნდა. თქვენ თუ გადახედავთ მათ საქმიანობას, როგორსაც ისინი აწარმოებენ, ეს არ არის განვითარებაზე ორიენტირებული. ჯერ ერთი, თვითონ ბანკია მოძველებული სისტემა, ის არ უწყობს ქვეყნის განვითარებას და პირიქით, მოსახლეობის გაუბედურებას უწყობს ხელს. ადრე ბანკირები პროგრესის შემქმნელები იმიტომ იყვნენ, რომ ახალი პროდუქტის შექმნის დროს რისკს იღებდნენ. ის რისკავდა იმიტომ, რომ



რაღაც ახალს ეხმარებოდა. ამიტომ, ის თავის გასამრჯელოს ითხოვდა პროცენტის სახით. დღეს რას აკეთებენ ბანკები? იდეებს იპარავენ. უკანონო ფულის ემისიას ახორციელებენ და, შესაბამისად, საზოგადოების გახლეჩას. თავდებობაში სხვა ადამიანების ჩაყენება და მერე ამ ადამიანების გაუბედურება და მერე ერთმანეთთან დაპირისპირება, რა არის, თუ არა ქვეყანაში ყველაზე დიდი უკანონობა.

***– როგორ უნდა გაკონტროლდეს ეს? ჩნდება კითხვა, რომ თუ სესხს იღებ, გადახდაც მოგიწევს, თუმცა გეთანხმებით, რომ ადეკვატური პროცენტით უნდა იყოს სესხები გაცემული.***

– ერთი რამე არსებობს. როდესაც შენ უნდა

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# №63 „ერთი ყველას წინააღმდეგ“

## დიმიტრი ლორთქიფანიძე დიდუბე-ჩუღურეთის მაჟორიტარად

**დიმიტრი ლორთქიფანიძე დიდუბე-ჩუღურეთში დამოუკიდებელ დეპუტატად კენჭს იყრის. მისი თქმით, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში უშეღავათო ბრძოლა იქნება.**

– მოვაგროვე დიდუბე-ჩუღურეთის ერთიანი ამომრჩევლის საერთო სიის შემადგენლობის 1%-ის ხელმოწერები, რომლის საფუძველზეც დავრეგისტრირდი, როგორც დიდუბე-ჩუღურეთის მაჟორიტარი დეპუტატობის დამოუკიდებელი, უპარტიო კანდიდატი. ვფიქრობ, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია, რომ დიდუბე-ჩუღურეთის მაჟორიტარულ ოლქში, სადაც სახელისუფლებო და ნაციონალური მოძრაობის და სხვა პარტიების კანდიდატებთან ერთად რამდენიმე პოლიტიკური ორგანიზაციის წარმომადგენელი მონაწილეობს, უშეღავათო ბრძოლა იქნება. სახალხო მხარდაჭერის პირობებში, უპარტიო დეპუტატობის კანდიდატისთვის ძალიან დიდია იმის შესაძლებლობა, რომ მაჟორიტარულ სიაში მხარდაჭერა მოიპოვოს.



ჩემი არჩევანია ეროვნულ-კონსერვატიული ნიშა. ჩემი კონკურენტი არ არის რომელიმე ერთი კანდიდატი. ჩემი ყველა ფორმალური კონკურენტი ერთ ლიბერალურ სისტემას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ეს ნიშა მხოლოდ ჩემ მიერ არის წარმოდგენილი. იმედი მაქვს, ყველა კონსერვატიული და ეროვნული იდეის მატარებელი ძალა მხარს დამიჭერს. შესაბამისად, ჩემი კონკურენტი ამ არჩევნებზე იქნება ნეოლიბერალური და ლიბერალური სისტემის წარმომადგენელ ძალთა ერთობა, სახელისუფლებო და მასთან დაკავშირებული ლიბერალური ოპოზიციის წარმომადგენლები. ჩემი ფორმულაა ერთი ყველას წინააღმდეგ, – განაცხადა დიმიტრი ლორთქიფანიძემ.

# „პარტიები უფრო მეტს სააკაშვილზე ფიქრობენ, ვიდრე ივანიშვილის დამარცხებაზე“

## მურმან დუმბაძე: „მთელი ცხოვრება ოპოზიციაში ვარ და არასდროს არ მიფიქრია ოპოზიციის კრიტიკაზე“

ნათია ხურცილავა

**გაერთიანებული ოპოზიციის — „ძალა ერთობაშიას“ ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი მურმან დუმბაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო მურმან, პოლიტოლოგები აცხადებენ, 2012 წელს თუ ივანიშვილი ცდილობდა შუა გაეკრიფა, ახლა ამას მიხეილ სააკაშვილი აკეთებს. სააკაშვილი ასეთი არჩევანის წინაშე აყენებს ამომრჩეველს – ან მე, ან ივანიშვილი?***

– მიხეილ სააკაშვილისა და ჩვენი ბლოკის ამოცანაა, რაც შეიძლება მეტი ამომრჩევლის მობილიზება მოხდეს. მე ვთვლი, რომ ის ადეკვატურად და სწორად იქცევა. კონკურენტი პარტიების მაქსიმალური რეიტინგი არის 1-2%, თუ ეს პოლიტიკური ძალები საკუთარი ამომრჩევლის მობილიზებას ახდენენ და მათთან მუშაობენ, აქვთ სურვილი, მაღალი პოლიტიკური თანამდებობები დაიკავონ, რათა თავიანთი პროგრამები განახორციელონ, რატომ არ აქვს უფლება მიხეილ სააკაშვილს, გააკეთოს ის განცხადებები, რომელსაც აკეთებს?! არ არსებობს პოლიტიკური ძალა, რომელიც არჩევნების წინ იტყვის – მე ვერ მოვალ ხელისუფლებაში, მე არ შემიძლია ამაზე მეტი ხმის მიღება და ა.შ. ასეთი რამე წარმოგიდგენიათ?!



***– გიგა ბოკერია აცხადებს, ამ კაცის ყველა გამოსვლა არის საჩუქარი ივანიშვილის პროპაგანდისთვის.***

– ყველა პოლიტიკური ლიდერი საკუთარი პარტიის გაძლიერებაზე უნდა ფიქრობდეს. მე ვურჩევდი გიგა ბოკერიას, ნაკლებად იფიქროს მიხეილ სააკაშვილზე და უფრო მეტი ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლების დამარცხებაზე. მეჩვენება, რომ პარტიები უფრო მეტს სააკაშვილზე ფიქრობენ, ვიდრე ივანიშვილის დამარცხებაზე. ეს არასწორი ტაქტიკა და სტრატეგიაა. მე მთელი ცხოვრება ოპოზიციაში ვარ და არასდროს არ მიფიქრია ოპოზიციის კრიტიკაზე. არსებული ხელისუფლება არის „ქართული ოცნება“ და არა მიხეილ სააკაშვილი.

***– დღეს „ნაციონალური მოძრაობის“ სტრატეგია რა არის?***

– არჩევნების მოგება. დღეს ყველა კვლევა ამბობს, რომ ადამიანები არჩევანს ოპოზიციურ ფლანგზე, კონკრეტულად კი 5 ნომრის ირგვლივ აკეთებენ. საქართველოს რეგიონების შემოვლის დროს, ყველა შეხვედრაზე, ადამიანები მიხეილ სააკაშვილზე მეკითხებოდნენ. არ მქონია შეხვედრა, რომელზეც სააკაშვილზე არ ეკითხათ. ახლა ამას შუის გაკრეფას დავარქმევთ თუ ორფერიან არჩევნებს, ეს არის პოლიტიკური მოცემულობა და ამ მოცემულობის ადეკვატურია მიხეილ სააკაშვილი.

***– მოსახლეობის უმრავლესობას კოალიციური მმართველობა სურს, რაც არ სურს მიხეილ სააკაშვილს და როგორ არის მოცემულობის ადეკვატური?***

– არ ამბობს უარს. სააკაშვილი გამოვიდა ერთიანი სიის ფორმირების იდეით, რაზეც უარი თქვეს პარტიებმა. ამის შემდეგ ჩვენ შევქმენით ბლოკი, სადაც შედიან პარტიები.

***– ამ პარტიებისგან წარმოგიდგენიათ კოალიციური მთავრობა?***

– დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს მოქალაქეები ყველაზე მეტ ხმას სწორედ ჩვენთვის გაიმეტებენ. ჩვენ ვართ გაერთიანებული ოპოზიცია, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები. ჩვენ შემოგვემატა კახა ოქრიაშვილი, რომელიც არ არის ხელწამოსაკრავი პოლიტიკოსი.

***– კახა ოქრიაშვილი მინუსი უფროა „ნაციონალური მოძრაობისთვის“ თუ დივიდენდი?***

– ის არ არის ხელწამოსაკრავი პოლიტიკოსი. მას აქვს გარკვეული პოლიტიკური წონა. რატომ არ წავიდა სხვა ბლოკში, მაგალითად, „ლელოში“. ან „რესპუბლიკური პარტია“, რომელიც 40 წლისაა, რატომ გაერთიანდა ამ ბლოკში და არა სხვაგან?!

***– თუ „ნაციონალური მოძრაობა“ არ იქნება თვითკმარი, არ მიიღებს საკმარის ხმებს, ვისთან წარმოგიდგენიათ კოალიცია, ოპოზიციურ ძალებთან თუ „ქართულ ოცნებასთან“?***

– ამ არჩევნებზე ჩვენი ბლოკი ყველაზე მეტ ხმას მიიღებს.

***– და მთავრობის შესაქმნელად დახმარება არ დაგჭირდებათ?***

– თუ დაგვჭირდა, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პოლიტიკური სუბიექტი სწორ არჩევანს გააკეთებს და ჩვენ მივიღებთ კოალიციურ მთავრობას.

***– ვისთან?***

– ვინც შეძლებს ამ ბლოკთან ურთიერთობას. დარწმუნებული ვარ, რომ კოალიციური მმართველობა საქართველოში იქნება 31 ოქტომბრის შემდეგ.

***– და ეს იქნება ბლოკი, რომელიც წარმოადგენს „ძალა ერთობაშიას“?***

– დიახ და მას შესაძლებელია შემოემატოს სხვა პოლიტიკური პარტიებიც. ამის წინასწარი განსაზღვრა შეუძლებელია. ასე ხდება ევროპულ დემოკრატიებში, ასე ხდება კონკურენციის დროს. ყველაზე მოტივირებული ამომრჩეველი სწორედ ამ ბლოკს ჰყავს.



შევიძენ
ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ.: 598-43-98-57

# ანზორ აბრალავა: „სააკაშვილი ბოკერიასთან და მისნაირებთან მართალია“

## „ქართულ ოცნებას“ უმრავლესობის მოსაპოვებლად არჩევნებზე გაყალბება არ სჭირდება“

მარიამ მჭედლიშვილი

**არჩევნებამდე თვეზე ცოტა მეტია დარჩენილი. პარტიების გამოქვეყნებული რეიტინგები ერთმანეთისაგან განსხვავებულია. წინასაარჩევნოდ შექმნილ სიტუაციაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ანალიტიკოს ანზორ აბრალავას.**



***– ბოლო დროს უამრავი გამოკითხვის შედეგები გამოქვეყნდა. პარტიების რეიტინგები სხვადასხვაა. განსაკუთრებით განსხვავებულია მმართველი პარტიის პროცენტები. ეს რისი მანიშნებელია?***

– წინასაარჩევნო გამოკითხვების ძირითადი მიზანია მანიპულაცია. უმრავლეს შემთხვევაში საქმე გვაქვს საარჩევნო ტრიუკებთან. ასეთივე ამოცანებს ემსახურება ეგზიტპოლები არჩევნების დღეს. მთავარი არჩევნებია და არა მანიპულაციები. გარკვეულ ძალებს უნდათ ადამიანების ზომბირება, სიტუაციის დაძაბვა და 2003 წლის მოვლენების გამეორება. მაშინ ხალხი ქუჩაში გამოიყვანეს გაყალბების საბაბით.

***– ცესკოს ყოფილი მაღალჩინოსანი გია ზესაშვილი აცხადებს, რომ 2003 წელს არანაირი გაყალბება არ ყოფილა. ამოქმედდა დაგეგმილი ტექნოლოგიები, რომლებითაც პროტესტი აგორდა.***

– ეს, რა თქმა უნდა, საბაბი იყო რევოლუციისთვის. ზესაშვილი კი თვითონ მონაწილეობდა გაყალბებაში ხათუნა გოგორიშვილთან ერთად. გოგორიშვილი ამ მხრივ დახელოვნებულია. გაყალბება რომ ხელოვნურად შემოგდებული თემა იყო, ამას მაჟორიტარული საკითხიც ადასტურებს. გაყალბებულად ჩაითვალა პროპორციული ნაწილი, მაჟორიტარებზე კი გამოაცხადეს, რომ ისინი სწორად აირჩიეს. ეს იყო ნამდვილი მაიმუნობა და ხალხის აბუჩად აგდება. გაყალბება შევარდნაძის დროიდან მოდის. სამწუხაროა, რომ ამ მაქინაციებში ჩააბეს აკადემიური წრეების წარმომადგენლები, რომლებიც ცესკოში იყვნენ დანიშნული. ცესკოს სხვადასხვა დროს სხვადასხვა თავმჯდომარე ჰყავდა. ზოგიერთები, მაგალითად, თარხნიშვილი და სხვები ახლა სხვებს ასწავლიან ჭკუას და უკითხავენ ლექციებს დემოკრატიაზე.

### ვინ არიან ინკვიზიტორები ქართულ პოლიტიკაში?

***– ამ არჩევნებში სხვაც ბევრი მონაწილეობს.***

– ზოგს აქვს ფული, მაგრამ ვერ ქმნის კონცეფციას, ნამდვილ პოლიტიკურ პროგრამებს. ერთი ჯგუფი ბიზნესიდან მოდის პოლიტიკაში. რისთვის ხდება ეს? იმისთვის, რომ ქონება და სიმდიდრე გაიზარდონ. სხვებისთვის პოლიტიკა არის საშუალება, რომ შევიდეს ბიზნესში, გამდიდრდეს. პოლიტიკაში მონარქიზმი – ეს რაღა უბედურებაა!

***– რაზე საუბრობთ?***

– მამების შემდეგ პოლიტიკაში მოდიან მათი შვილები და შვილიშვილები.

***– ხანდახან შვილები მშობლების კვალს მიჰყვებიან. მსახიობის შვილები მსახიობები ხდებიან, ექიმებისა – ექიმები. პოლიტიკაში ასეა.***

– კანონით ეს არ იკრძალება. დემოკრატიული ფორმატი თავისას აკეთებს. თუმცა, საზოგადოებასაც აქვს შეფასების უფლება. პარტიაში ლიდერის შვილი რომ მშობლის საქმიანობას გადაიბარებს, ეს ცუდად გამოიყურება. ბევრი ადამიანის აზრი ვიცი ამაზე. ასეთი მემკვიდრეობითობა და დინასტიები მათ აღიზიანებს.

***– მთლიანობაში მშვიდად მიმდინარეობს წინასაარჩევნო კამპანია?***

– სიმშვიდე ყველას ინტერესში არ შედის. ვერ ხედავთ? სააკაშვილი ლენინის აპრილის თეზისებით გამოვიდა. მას თავს უქნევდა გვარამია. მის ტელევიზიას თავისუფალი მედიის სახელი უნდა, მაგრამ თავის განწყობას ვერ მალავს.

***– სააკაშვილის გამონათქვამებმა ნაციონალური მოძრაობის უპირატესობის თაობაზე ოპოზიციის ნაწილი გაამძვინვარა.***

– სააკაშვილი სინამდვილეში რევოლუციას ქადაგებს, რაც მიუღებელია. რაც შეეხება მის დამოკიდებულებას ნაციონალების სხვადასხვა ფლანგის პარტიების მიმართ, ეს სწორია. სააკაშვილი ბოკერიასთან და მისნაირებთან არის მართალი. ამათ უნდათ მთელი პასუხისმგებლობა აჰკიდონ სააკაშვილს, თვითონ კი ანგელოზებად გამოჩნდნენ.

***– „ევროპელ დემოკრატებს“ ჩამოწერილი აქვთ განსხვავებები ნაციონალურ მოძრაობასთან.***

– არავითარი განსხვავება არ არსებობს. ბოკერიას პარტია იმათზე უარესია. ევროპულ დემოკრატიულ ფასეულობებთან ბოკერია-უგულავა-ბაქრაძე-გოგორიშვილის პარტიას საერთო არა აქვს. ეგენი არიან ევროპელი ინკვიზიტორები და ქართული ინკვიზიცია.

***– ინკვიზიციასთან და ერეტიკოსების დევნასთან რატომ გიჩნდებათ ასოციაცია?***

– „ევროპელ დემოკრატებს“ აქვთ მძიმე წარსული. ისინი ინიღბებიან ევროპული და დემოკრატიული ტერმინოლოგიით, სინამდვილეში კი ისეთივე ჯალათები არიან, როგორებიც შუა საუკუნეების ევროპაში იყვნენ ინკვიზიტორები. ისინი დევნიდნენ განსხვავებულ აზრს და მოწინავე მეცნიერებს. ჯორდანო ბრუნო მათი მსხვერპლია. ამ დღეებში პარლამენტში ბოკერიას საქციელმა გამიმტკიცა აზრი ინკვიზიციასთან მსგავსებაზე. ეგენი რომ ხელისუფლებაში მოვიდნენ, ნამდვილი ინკვიზიცია მერე ნახეთ! ჩვენი ყველას ბრალია, ასეთები რომ ისევ აქტიურ პოლიტიკაში არიან. ბევრმა პოლიტიკას ზურგი ვაქციეთ, სამაგიეროდ კი, ეს ხალხი გავაბატონეთ. ნაციონალურ მოძრაობაში ასეთი მონსტრები მაინც არ არიან. მაგალითად, ხალხი კარგად უყურებს ნიკა მელიას, რომელსაც არ უნდა ვანო მერაბიშვილთან ერთად ყოფნა.

***– არსებობს აზრი, რომ გაყალბების გარეშე „ქართული ოცნება“ დიდი უპირატესობით ვერ მოიგებს არჩევნებს.***

– მმართველ პარტიას ყველაფერში არ ვეთანხმები, მაგრამ ვაცხადებ, რომ მას დამაჯერებელი გამარჯვებისთვის გაყალბება არ სჭირდება. „ქართული ოცნება“ გაიყვანს იმდენ ადამიანს, რომ შექმნას საკონსტიტუციო უმრავლესობა.

***– საკონსტიტუციო კი არა, უბრალო უმრავლესობის მოპოვებაა საეჭვო.***

– მმართველი პარტია ან თვითონ, ან მოკავშირეებთან ერთად შექმნის საკონსტიტუციო უმრავლესობას. ისევ დააკომპლექტებს მთავრობას და გააგრძელებს ქვეყნის მართვას.

# „მამუკა ხაზარაძე მევახშეა, მოსახლეობის გაუბედურებას უწყობს ხელს“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

იღებდე მართლა რეალურ თანხას, რომელიც არსებობს და არა ის, რომელიც სესხის აღების დროს ჩნდება. უკანონო ფულის ემისია ზუსტად ის არის, რასაც ბანკები გასცემენ, როდესაც მათ ის თანხა არ გააჩნიათ. აი აქ არის დარღვევები და აი ამაზეა სამუშაო.

ერთი მომენტიც არის, თუ დეპოზიტს ხსნი 3%-ად, მეორე მხარეზე 5-6-7%-ზე ძვირად არ უნდა გაიცემოდეს. როდესაც ბანკი მათივე კუთვნილებაში მყოფ მიკროსაფინანსოში 40%-ად გასცემს მას, ამიტომ ხდება ხალხის გაუბედურება. წარმოიდგინეთ, როგორი მექანიზმი მუშაობს, რომ რეალურად პროცენტი, რომელსაც ბანკირები აკისრებენ ადამიანებს, ის, რომ თითქოს გართულდა სესხების გაცემა კომერციულ ბანკებში და ვითომ ამას ისინი დარდობენ, ამ ყველაფერმა გადაინაცვლა მათივე კუთვნილ მიკროსაფინანსოებში. როგორ წარმოგიდგენიათ, 30 და 40 პროცენტი როგორ უნდა გადაიხადოს ადამიანმა სესხებში?! პენსიონერებს როდესაც „ლიბერთი ბანკი“ 40%-ად აძლევს სესხებს, რა ჰქვია ამას, თუ არა მევახშეობა და რატომ უნდა დააბრუნოს პენსიონერმა 40% თუ ის იღებს 1 წლის პენსიას წინასწარ? გამაგებინეთ, რა ახსნა აქვს ამას?! როდესაც სიკვდილიანობის წლიური რისკი არის 3%, რატომ იღებენ ამხელა პროცენტებს?! ორმაგი აიღე, იყოს სამმაგი, მაგრამ ამხელა პროცენტი?!

***– ახსენეთ ეროვნული ბანკი და ამ მაქინაციებში ეროვნული ბანკიც ჩართულია?***

– რა თქმა უნდა, ეროვნული ბანკი პირდაპირ მათი ქვემდებარეა, იმის მაგივრად, რომ ზემდგომი იყოს. ის დაკომპლექტებულია ბანკებიდან წასული თანამშრომლებით და მათი ინტერესების ფორმირებას ახდენენ. „საქართველოს ბანკი“ პრაქტიკულად ეროვნული ბანკის უფროსია და არა ეროვნული ბანკი „საქართველოს ბანკის“ და ყველა სხვა ბანკის უფროსი.

***– ამ დროს რას აკეთებს პარლამენტი, რომელსაც ეროვნულ ბანკზე ზედამხედველობა ევალება?***

– ყოველთვის გვაქვს დაპირებები, რომელიც უნდა შესრულებულიყო, მაგრამ უმრავლესობა ყოველთვის ახერხებს იმას, რომ ეროვნული ბანკის მომხრე იყოს. იმიტომ, რომ „საქართველოს ბანკის“ ინტერესები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ეროვნული ბანკის. „საქართველოს ბანკის“ უკან კიდევ ისეთი ჯგუფები დგანან, რომლებსაც ამ ქვეყანაში უფრო დიდი გავლენა აქვთ, ვიდრე პარლამენტს.

***– ანუ, დაჯგუფებულია ერთად და საბანკო სექტორი, ეროვნული ბანკი და ხელისუფლება ერთმანეთშია შეზრდილი და ერთად მოქმედებენ?***

– კი ბატონო. ზემოდან შეგიძლიათ დაამატოთ სასამართლოც. იმიტომ, რომ არც ერთი პროცესი არ მოუგია სასამართლოში რიგით ადამიანს. არც მევახშესთან მიმართებით და არც ბანკირებთან მიმართებით. რატომ არ წერია ხელშეკრულებაში ფორსმაჟორი, რატომ არ ავალდებულებენ ამას, სად გაქრა ხელშეკრულებიდან ეს ნაწილი?! რატომ არ თხოულობს ეროვნული ბანკი ამას? გამოდის, რომ რაც ბანკებს არ აწყობს, იმას ხელშეკრულებიდან აგდებენ.

კიდევ ერთ რაღაცას მოგახსენებთ, როდესაც უზრუნველყოფის გარეშეა აღებული სესხები, ბანკირებმა მოახერხეს ის, რომ კანონში შეტანილი ცვლილებით ეს უზრუნველყოფის შემდეგ აღებული სესხები გადადის ადამიანების საცხოვრებლებზე, ავტომობილებზე და ა. შ. ანუ, ყველაფერი ბანკების და მევახშეების სასარგებლოდ მუშაობს. როდესაც სახელმწიფო ასე ცალმხრივად მუშაობს ბანკირებზე, ამას რა ვუწოდოთ?! არ დაგვავიწყდეს სააკაშვილის ხელისუფლების დროს ციხეებში გაცემული სესხებიც. ეს ავიწყდებათ ბატონ ხაზარაძეს და ბანკირებს?! ადამიანი ციხეში იმყოფება და შენ სესხს აძლევ, რა არის ეს, თუ არა დანაშაული და წინასწარ გამიზნული ქმედება, რომ ადამიანს ყველაფერი წაართვა. როდესაც ასეთი რაღაცები ხდება ქვეყანაში და ამაში ბანკირები მონაწილეობენ, მე არა მგონია, რომ ამაში დანდობა იყოს საჭირო. მოდის დრო, რომ მათი ბორკილები მოვიხსნათ, შევისწავლოთ ყველა ბანკების ბალანსი და მათ მიერ დარღვეული კანონი არაპროფილურ საქმიანობასთან დაკავშირებით და შესაბამისი განაჩენი გამოვუტანოთ მათ. მოდის დრო, როდესაც ერთხელ და სამუდამოდ ბანკირები უნდა წავიდნენ ციხეში, რომელსაც ისინი ჩადიან ყოველდღე.

***– თუ ასეთი პრობლემაა, მაშინ როგორ უჭერს ქართველი ამომრჩევლის მეოთხედი მხარს „ლელოს“? ყოველ შემთხვევაში, ხაზარაძე ასე ამბობს, რომ 25%-ზე მეტი ამომრჩევლის მხარდაჭერას ელოდება არჩევნებზე, იმის მიუხედავად, რომ კვლევებით 3-4% აქვს მის პარტიას.***

– მათ ცნობიერებაში 3-4% არაფერს ნიშნავს. იმიტომ, რომ ყველაზე მინიმალური, რაც მათ ტვინში ტრიალებს, 25%-იანი სესხია და ეს არის ყველაზე სწორი პასუხი მათ კამპანიასთან დაკავშირებით. მათ ჰგონიათ, რომ სესხებზე რაც უფრო მაღალი პროცენტები ექნებათ, მით უფრო მაღალი პროცენტი ექნებათ არჩევნებზე ხალხის მხარდაჭერის თვალსაზრისითაც. 25% შეუძლიათ ათზე გაყონ და მერე კიდევ იფიქრონ, მაგდენ პროცენტსაც მოაგროვებენ თუ არა.

# ლუდმილა ანუა ქუთაისში გარდაცვლილი მე-20 პაციენტია

## ის სოხუმის პირველი სკოლის მასწავლებელი იყო

20 სექტემბერს საქართველოში კორონავირუსით მეოცე პაციენტი, 60 წლის ლუდმილა ანუა გარდაიცვალა, რომელიც სოხუმის პირველი სკოლის მასწავლებელი იყო.



ის აფხაზეთიდან ქუთაისის ერთ-ერთ კლინიკაში იქნა გადმოყვანილი.

პრაიმტაიმის ცნობით, რამდენიმე დღის წინ ქალმა საკუთარ ფეისბუქ გვერდზე დაწერა, რომ დაინფიცირებამდე არც მას სჯეროდა კორონავირუსის არსებობის.

სოხუმის №1 სკოლა დროებით დაიხურა, – ამის შესახებ ინფორმაციას „სპუტნიკი“ სკოლის დირექტორ ნონა დელბაზე დაყრდნობით ავრცელებს.

გამოცემის ცნობით, მოსწავლეები თავიანთ სახლებში 2-კვირიან კარანტინს გაივლიან.

სკოლის დირექტორის განმარტებით, კვირას დირექციას აცნობეს, რომ ლუდმილა ანუა, რომელიც კოვიდ 19-ით იყო ინფიცირებული, გარდაიცვალა, გარდა ამისა, ინფიცირების შემთხვევები სკოლის ხუთ კლასში გამოვლინდა.

დირექტორის თქმით, მან ეპიდსიტუაციის შესახებ ე.წ. „განათლების მინისტრს“ აცნობა, რომელმაც მოსწავლეების 2 კვირით დათხოვნის განკარგულება მისცა.

დე-ფაქტო ხელისუფლების მონაცემებით, ოკუპირებულ აფხაზეთში, საერთო ჯამში, კორონავირუსის 939 შემთხვევაა გამოვლენილი.

# ევროკავშირის სამიტი გადაიდო



ევროსაბჭოს ხელმძღვანელის შარლ მიშელის განცხადებით, მიღებულია გადაწყვეტილება, რომ ევროკავშირის სამიტი, რომელიც 24-25 სექტემბრისთვის იყო დაგეგმილი, 1-2 ოქტომბერს გაიმართოს.

ამის შესახებ ევროსაბჭოს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ბარენდ ლეითსმა „ტვიტერის“ პირად გვერდზე დაწერა.

„ევროსაბჭოს პრეზიდენტმა გადაწყვიტა გადაიდოს ევროსაბჭოს სპეციალური სამიტი, რომელიც 24-25 სექტემბრისთვის იყო დაგეგმილი. ის გაიმართება 1-2 ოქტომბერს“ – წერს ლეითსი.

მისი განმარტებით, მიშელის უსაფრთხოების დაცვის ერთ-ერთ თანამშრომელს კორონავირუსი გამოუვლინდა, რის გამოც ევროსაბჭოს მეთაურმა გადაწყვიტა, კარანტინის რეჟიმი დაიცვას.

მისივე ცნობით, ამ დროისთვის ის ავად არ არის.

# „ჯერ მოკლა, შემდეგ 800 ლარი და ოქრო გაიტაცა და მიიმალა“

## დამნაშავეს 16 წელი მიესაჯა

თელავის ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ, პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობისა და ქურდობისთვის ბრალდებული ი.გ. დამნაშავედ ცნო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად, ბრალდების მხარის მიერ სასამართლო პროცესზე წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2020 წლის 1 იანვარს, სიღნაღის რაიონის ქ. წნორში, ი.გ.-მ ანგარებით, განზრახ მოკვლის მიზნით ი.ხ.-ს, მისსავე საცხოვრებელ სახლში, ბლაგვი საგნით თავის არეში დაზიანება მიაყენა. მიღებული დაზიანებების შედეგად ი.ხ. ადგილზე გარდაიცვალა, რის შემდეგაც ი.გ. გარდაცვლილის კუთვნილ 800 ლარს, 1.100 ლარის ღირებულების ოქროს ნივთებს დაეუფლა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.



სამართალდამცველებმა ი.გ. 2020 წლის 3 იანვარს დააკავეს.

მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში, ანგარებით), 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ქურდობა რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

ნაფიც მსაჯულთა მიერ მიღებული გამამტყუნებელი ვერდიქტის საფუძველზე, თელავის რაიონულმა სასამართლომ ი.გ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებებში და სასჯელის სახედ და ზომად 16 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.